# განმარტებითი ბარათი
# "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონპროექტზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ**
**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**
აღნიშნული კანონის პროექტი შემუშავებულია „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მოსალოდნელი შემოსავლების შეფასების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.
**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა სათამაშო ბიზნესის სფეროში სანებართვო მოსაკრებლების მობილიზების კუთხით.
**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**
სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთები ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მიღებაზე იზრდება 2 ჯერ.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**
**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.
**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**
სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზრდება 2 მლნ ლარით.
**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.
**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.
**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**
კანონპროექტის მიღებით ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მომწყობთათვის ნებართვის აღების ხარჯები გაეზრდებათ 2-ჯერ.
**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**
სანებართვო მოსაკრებლის განაკვეთები ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს და წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მიღებაზე იზრდება 2 ჯერ.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**
**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.
**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.
**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.
**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**
ასეთი არ არსებობს.
**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.
**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**
საქართველოს მთავრობა.